# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1035

ქ. თბილისი "22" 09 2006წ.

„საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – „სამხრეთ კავკასიური მილსადენის" სისტემისა და საქართველოს მაგისტრალური მილსადენის დამაკავშირებელი გაზსადენის 300 მეტრიანი მონაკვეთის ტექნიკურ პროექტზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №77; 22.09.06წ. და

ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას

მოხსენებითი ბარათი

მინისტრი დ. ტყეშელაშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი
ასლი სწორია